საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

16/08/2024

MES 1 24 0001054398

გადაწყვეტილება

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “ან არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 13 დეკემბრის №023/01/3279 (რეგისტრაციის №1715256, 14/12/2023) წერილით წარმოდგენილ იქნა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი "ფსიქოლოგიის" ქართული და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის თაობაზე. ცენტრის 2023 წლის 22 დეკემბრის №1756251 კორესპონდენციით განაცხადს დაუდგინდა ხარვეზი, რომლის პასუხად, 2024 წლის 8 იანვრის №01-IBSU-01 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №7085, 09/01/2023) დაწესებულებამ წარმოადგინა კორექტირებული დოკუმენტაცია.

2.2. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 26 იანვრის №78682 ბრძანების საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2024 წლის 06 აპრილის №403035 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით განახორციელა 20 24 წლის 22 და 23 აპრილს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		**x**		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		**x**		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**x**			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**x**			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**x**			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4 ზეპირი მოსმენა გაიმართა **2024 წლის 02 აგვისტოს.** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, არ გაითვალისწინა 1.4. კომპონენტში არსებული რეკომენდაციები, შესაბამისად კლასტერში არსებული პროგრამებისათვის პირველ სტანდარტი ნაცვლად მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან, შეფასდა როგორც შესაბამისია მოთხოვნებთან.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 14 ხმით არცერთის წინააღმდეგ:

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ფსიქოლოგიის: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2028 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 16 აგვისტოს №983043 ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, დაემატოს კურსი – ,,გამოყენებითი ქცევის ანალიზი;
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებს, რომლებიც ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენენ, ჰქონდეთ მკაფიოდ განსხვავებული სწავლის შედეგები;
3. რეკომენდებულია, სილაბუსებში ნათლად იყოს გაწერილი სწავლის/სწავლების მეთოდები და თავიდან იქნას აცილებული ზოგადი ფორმულირების გამოყენება, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
4. რეკომენდებულია, სილაბუსებში პრეზენტაციისთვის მინიჭებული შეფასების წონა შესწორდეს იმგვარად, რომ, უზრუნველყოფილი იყოს ქულების ადეკვატური განაწილება შეფასების სხვა მეთოდებთან მიმართებაში.
5. რეკომენდებულია, კურსებში გამოიყენონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც შეამცირებენ სუბიექტური აზრის გავლენას შეფასებაზე;
6. რეკომენდებულია, მკაფიოდ განისაზღვროს სემინარის აქტივობის შეფასების კრიტერიუმები;

7. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააძლიეროს ტრენინგ–შეხვედრები სტუდენტებთან, რათა მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ გამოიყენონ აკადემიურ მონაცემთა ბაზები, რომლებიც ამჟამად გამოწერილი აქვს ბიბლიოთეკას.
8. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიძინოს მოცემული სასწავლო პროგრამის თითოეული სახელმძღვანელოს მინიმუმ ერთი ბეჭდური ეგზემპლარი და ხელმისაწვდომი გახადოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რათა სტუდენტებმა შეძლონ სახელმძღვანელოებით სარგებლობა.
9. რეკომენდებულია, ყველა სავალდებულო ლიტერატურა იძებნებოდეს ბიბლიოთეკის კატალოგში, რათა სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ საინფორმაციო რესურსების შესახებ.
10. რეკომენდებულია, განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები გარე კოლეგიური შეფასებისთვის, რადგან ამჟამად არსებული უკუკავშირი ხაზს არ უსვამს პროგრამის არც ძლიერ და არც სუსტ მხარეებს, გამოიყურება უფრო ფორმალურად და ნაკლებად ინფორმაციულად.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 16 აგვისტოს.
6. რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2025 წლის 16 აგვისტო.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების ინფორმირების დღიდან ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 - ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	დ. აღმაშენებლის ხეივანი 13-ე კმ, #2, თბილისი, საქართველო 0131
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2024 წლის 16 აგვისტო
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	1 წელი - 2025 წლის 16 აგვისტო
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 31 დეკემბერი